მანანა ალადაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი,
ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის პროფესორი

ნათელა თუშიშვილი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტის დოქტორანტი

მდგრადი ტურიზმი, როგორც ურთიერთობის ახალი ტიპი „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებაში

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია მდგრადი ტურიზმის როლი „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებაში. მდგრადი ტურიზმი გვევლინება თანამედროვე გლობალიზაციის მოვლენად, რომელიც მსოფლიოში სწრაფი ტემპით იზრდება, რაც იწვევს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების დიდ ინტერესს. თუ გადავხედავთ განვითარებული ქვეყნების სტრატეგიულ გეგმებს, მდგრადი ტურიზმი, როგორც მწვანე ტურიზმის ფორმა, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა და მისი ინტეგრაცია ბიზნესში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რაშიც მთავრობის ხელშეწყობა მაქსიმალურია. საკმაოდ დიდია მდგრადი ტურიზმით დაინტერესება პოლიტიკური ორგანიზაციებისა და ასოციაციების დონეზეც.

ნაშრომში წარმოდგენილია მწვანე ტურიზმის როლი მდგრადი ტურიზმის განვითარებაში. აღნიშნულია, რომ მწვანე ტურიზმის შემდგომი წარმატებული განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, რესურსების მოხმარებისა და ნარჩენების გადამუშავების მიზნით. ასევე აუცილებელია ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობს მწვანე ტურიზმის განვითარებას, რაც მომავალში მწვანე ეკონომიკის განვითარების საფუძველია.

ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოში მდგრადი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები და გამოვლენილია მისი როლი „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებაში. მოცემულია სათანადო დასკვნები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითრება, მდგრადი ტურიზმი, მწვანე ტურიზმი, მწვანე ეკონომიკა, ენერგოეფექტურობა, ეროვნული პარკი, მწვანე ტურები, ეკოტურიზმი.

მდგრადი ტურიზმი, როგორც ურთიერთობის ახალი ტიპი „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებაში

შესავალი

ტურიზმი თავისი განვითარების მაღალ ტემპებითა და მსოფლიო ეკონომიკაში გაზრდილი შემოსავლების ხვედრითი წილით ჩამოყალიბდა მსოფლიო ეკონომიკის მთავარ დარგად, რის გამოც სპეციალისტების მიერ აღიარებულია თანემედროვე ეკონომიკურ ფენომენად.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ლიდერები აღიარებენ, რომ მდგრად განვითარებაში ტურიზმმა დაიმკვიდრა ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ლიდერის სტატუსი. 21-ე საუკუნეში მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ეკონომიკის მდგრადი განვითარება, რაც განვითარებული ქვეეყნებისათვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

თემის აქტუალობაა: ტურიზმის მდგრადობის დონე (მათ შორის მწვანე ტურიზმისა), მისი ეკონომიკური მნიშვნელობის მუდმივი ზრდა მსოფლიო ლიდერებმა მიიჩნიეს ეკონომიკის მდგრადი განვითარების უმნიშვნელოვანეს საშუალებად

მდგრადი ტურიზმის როლის წარმოჩენა „მწვანე ეკონომიკის" განვითარებაში, რომელსაც მრავალი განვითარებული ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს და საზოგადოების განვითარების აქტუალური საკითხების ბევრ ასპექტს მოიცავს.

მომწოდებლებისთვის, მომხმარებლებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის საინტერესოა ისეთ პრაქტიკა, როგორიცაა ენერგოეფექტური მოწყობილობების გამოყენება, ეკოლოგიურად ჯანსაღი პროდუქტების შეძენა, ნარჩენების შემცირება და ბუნებაზე დაფუძნებული ტურების კეთილგონივრული დაგეგმვა, რასაც შეუძლია არა მხოლოდ მოხმარებული რესურსების შემცირება, არამედ სარგებელის გაზრდა. ასევე მნიშვნელოვანია განახლებადი ენერგიის წყაროების ჩართვა ტურიზმის ინდუსტრიაში განთავსების ობიექტების არჩევისას. საერთაშორისო სასტუმროების ქსელები დაინტერესებულნი არიან ინვესტიციების განხორციელებაზე მწვანე ტექნოლოგიებში, რომლებიც ამცირებს ბუნებრივი რესურსების მოხმარებას და საოპერაციო ხარჯებს.

კვლევის მიზანი: საქართველოში მდგრადი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების შესწავლა, მისი როლის გამოვლენა „მწვანე ეკონომიკის" განვითარებაში.

კვლევის მთოდები: კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად მივიჩნიეთ სოციოლოგიური, სტატისტიკური და რაოდენობრივი კვლევის მეთოდიკა, რომელიც შეეხებოდა მწვანე ტურიზმს – მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორს.

ნაშრომში გაანალიზებულია თემის ირგვლივ სხვადასხვა მაღალრეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნებული აკადემიური და სამეცნიერო კვლევები, სხვადასხვა პუბლიკაციები, როგორიცაა წიგნის თავები და კონფერენციის მასალები, რომლის მიზანია გაანალიზებულიყო ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომები, სტატიების უმეტესობა გამოქვეყნდა 2010 წლის შემდეგ, რაც გვიჩვენებს თემის სიახლეს.

მიღებული მონაცემები და პრობლემისადმი სისტემურ და სიტუაციური საკითხების ჩატარებული კვლევის გარდა, ნაშრომის თეორიულ მეთოდოლოგიას წარმოადგენს, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წლიური ანგარიში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

ლიტერატურის მიმოხილვა:

ტურიზმის დარგში გატარებულმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს ან ნეგატიური ზეგავლენის შემცირება და პირიქით, მოიტანოს მოგება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოხსენების – „მწვანე ეკონომიკისაკენ: მდგრადი განვითარების და სიღარიბის აღმოფხვრის გზების" – მიხედვით (ჟენევა 2011 წელი), *ტურიზმი - ეს არის მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობის ზრდის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მამოძრავებელი ძალა. შესაბამისი ინვესტიციებით იგი მუდმივად მზარდი დარგი იქნება მომავალი ათწლეულის განმავლობაში* და ხელს შეუწყობს დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის განვითარებას. ეს საზოგადოებას უბიძგებს გამოიჩინოს ყურადღება ბუნებრივ, ისტორიულ, კულტურულ ფასეულობათა შესანარჩუნებლად. რა თქმა უნდა ეს პრობლემა მთელ მსოფლიოს ეხება.

აღნიშნულ თემას მრავალი ლიტერატურა მიეძღვნა, მათ შორის არის მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული კვლევითი ნაშრომები, აგრეთვე დებულებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია დოკუმენტში – „დღის წესრიგი XXI საუკუნეში". სწორედ მისი დახმარებით, აქტიურად ხორციელდება ტურისტული მარშრუტი „აბრეშუმის გზა", რომელშიც ბევრი ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, მონაწილეობს. (UNWTO.org., 2023)

2015 წელს გაიმართა გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე საიუბილეო სესია (ნიუ-იორკში), სადაც მონაწილეობდა 193 სახელმწიფო. აღნიშნულ სესიაზე მიიღეს შეთანხმება, მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტი – „გარდავქმნათ მსოფლიო 2030 წლისათვის", რომელიც

მოიცავს 17 მიზანს. აღნიშნული დოკუმენტი მიმართული იქნა ხალხის კეთილდღეობაზე, რაც გულისხმობს სიღარიბის აღმოფხვრას, ხალხის კეთილდღეობასა და ჯანსაღი გარემოს შექმნას. აღნიშნული ამოცანა უნდა გადაწყდეს 15 წლის განმავლობაში.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიერ 2015 წლის 18 ივნისში ჩინეთში ჩატარდა აბრეშუმის გზის მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია, სადაც 20-ზე მეტ ქვეყნას შორის საქართველოც მონაწილეობდა. კონფერენცია აბრეშუმის გზის ტურისტული პოტენციალის განხილვას მიეძღვნა. აბრეშუმის გზის მარშრუტი, განხილული იქნა, როგორც სავაჭრო ურთიერთობების განვითარების, ასევე ტურისტული პოტენციალის თვალსაზრისით, ასევე აღნიშნული მარშრუტი შევიდა ევროპული მარშრუტების სიაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მდგრადი ტურიზმის განვითარებას. (UNWTO.org., 2023)

2017 წლის სექტემბერში საქართველოში ტურიზმის სამეცნიერო და პრაქტიკოსი ექსპერტების ყველაზე გავლენიანი საერთაშორისო ასოციაციის AIEST-ის (1951 წელს დაარსდა) რიგით 67-ე კონფერენცია გაიმართა, რომლის მიზანს წარმოადგენდა მსოფლიოში მდგრადი ტურიზმის ინდუსტრიის გაუმჯობესება ტურიზმის უახლესი ტენდენციებისა და განვითარების ანალიზის საფუძველზე, ამ სფეროში მოსალოდნელი პრობლემების წინასწარ განჭვრეტისა და მათი გადაჭრის გზების მოძიებით. კონფერენციის მუშაობისას განხილული იყო საქართველოში ტურიზმის ბიზნესის მდგრადობა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები და ტურიზმის მდგრადი განვითარების ბიზნესმოდელები. უცხოელი ექსპერტების მიერ საქართველოსთვის განხილული და შეთავაზებული იქნა მდგრადი განვითარების ორი ბიზნესმოდელი: პირველი – რომელიც ფოკუსირებულია მცირე და საშუალო ზომის ბიზნესზე (მაგალითად, მცირე და საშუალო ზომის სასტუმროების, რესტორნების და სხვ., განვითარება) და მეორე – კოოპერაციაზე დაფუძნებული ბიზნესმოდელი, რომელიც ფოკუსირებულია კურორტების განვითარებაზე, მაგალითად: სათხილამურო კურორტები და დასასვენებელი კომპლექსები. ექსპერტები თვლიან, რომ საქართველოში მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია ამ ორივე ბიზნესმოდელის ბალანსირება. ევროპულმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ კერძო და საჯარო სფეროს შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რადგანაც იგი ხელს შეუწყობს მდგრადი ტურისტული პროდუქტის ჩამოყალიბებას.

გ. ნადირაშვილისა და დ. ჯანგულაშვილის წიგნში „მდგრადი ტურიზმი“, განხილულია, რომ ყველა ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოში საჭიროა ჩატარდეს კვლევა ტურიზმის განვითარების ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, მომზადდეს შემამსუბუქებელი ღონისძიებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული უარყოფითი ზემოქმედება გარემოსა და მოსახლეობაზე. შესწავლილი უნდა იქნეს ტერიტორიების „გამტარუნარიანობა“, შემუშავდეს ახალი, ინოვაციური მიდგომები მდგრადი ტურიზმის განვითარებაში და მოძიებული იქნეს ეფექტური გზები პრობლემების გადასაჭრელად.. (ნადირაშვილი გ., 2016)

ნ. კაციტაძე თავის ნაშრომში “The Role of State Regulation and Policy in Tourism Development: The Case of Georgia...ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნების წარმატებისათვის მნიშვნელოვანი ხდება არა იმდენად ტურისტული რესურსების არსებობა, რამდენადაც მისი ოპტიმალური გამოყენება ინოვაციური მართვის მეთოდებით, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ქვეყნების, როგორც ბუნებრივ რესურსებს, ასევე წარმოების თავისებურებებს, დემოგრაფიულ პირობებს და ეკონომიკური მახასიათებლებს. ამ მიმართულებით სვლა კი შესაძლებელია მოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანას გააჩნია ტურიზმის მდგრადი განვითარების პოლიტიკა (Katsitadze, N., & Natsvlishvili, I. ,(2020)). “The Role of State Regulation and Policy in Tourism Development: The Case of Georgia”. In *Eurasian Economic Perspectives* (pp. 419-434). Springer, Cham.

ჩარლზ გელდნერისა და ბრენტ რითჩის წიგნში „ტურიზმის საფუძვლები: თეორია და პრაქტიკა“ განიხილავს გარემოს, სადაც ხდება ტურიზმის ფორმირება და ამ ფორმირების ყველა მნიშვნელოვან ელემენტს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, გარემოს ეკოლოგია და ეკოტურიზმის მნიშვნელობა მდგრადი განვითარების კონტექსტში. (გელდნერი ჩ., 2016)

დერეკ ჰოლის რედაქციით გამოსულ წიგნში „ახალი მიმართულებები სოფლად ტურიზმში“ აღწერილია ტურიზმის მდგრადი განვითარების არსი და მისი როლი ეკონომიკის განვითარება-

ში. ნაშრომი აგრეთვე მოიცავს ტურიზმში ახალი მიმართულებების გამოჩენას. ამ მიმართულებების შესწავლა განსაკუთრებით საინტერესოა სოფლად ტურიზმის ბიზნესის ფორმირებისას, რომელსაც შეუძლია სერიოზულად ჩამოაყალიბოს აღნიშნული ტურიზმის მიმართულება მდგრად ტურიზმად. წიგნში აგრეთვე მოცემულია სოფლად ტურიზმის ბიზნესში არსებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი კვლევა.(Hall.Mitchel. 2017)

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ჩართულობა და მათი როლი სოფლად ტურიზმის ბიზნესის მდგრადი განვითარებისათვის განიხილება ჰოლ კირკპატრიკის და მიტჩელის სტატიაში. ავტორები განიხილავენ ადამიანური რესურსების როლს სოფლად მწვანე ტურიზმის ბიზნესის წარმატებით განვითარებისათვის, როგორც არა მხოლოდ სოფლის, არამედ მთელი რეგიონის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ადამიანური რესურსების როლი მწვანე ტურიზმის განვითარებაში უპირობოდ ასრულებს მთავარ როლს, როგორც კულტურული ღირებულების თვალსაზრისით, აგრეთვე მომსახურების სწორად გაწევისა და მდგრადი ტურიზმის განვითარებისათვის. (Hall D. Kirkpatrick I. Mitchell M. 2005)

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის გენერალური დირექტორის კუ დონჟუს და მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის გენერალური მდივნის ზურაბ პოლოლიკაშვილის მიერ ერთობლივ წიგნში „სამთო ტურიზმის გაგება და რაოდენობრივი შეფასება“, აღნიშნულია სამთო ტურიზმის როლის შესახებ მწვანე ტურიზმის განვითარებაში, მთელ მსოფლიოში, სამთო ტურიზმი განპირობებულია ადამიანის სურვილით, განიცადოს ბუნება უნიკალურ გარემოში. თავის მხრივ, ტურიზმი მთიან რეგიონებში მრავალი თემისთვის სამაშველო საშუალებაა და მას შეუძლია წამყვანი როლი ითამაშოს სისტემების შენარჩუნებაში, რომლებიც ხელს უწყობენ ამ მყიფე ეკოსისტემების დაცვას გადაჭარბებული ექსპლუატაციისგან და მხარს უჭერენ მათ ადაპტაციას კლიმატის ცვლილებასთან. ჩატარებულია მრავალი კვლევა, რომელიც ერთობლივად არის შემუშავებული გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) სამთო პარტნიორობის სამდივნოს მიერ, ეხება შესაბამისი მონაცემების ამჟამინდელ ნაკლებობას და აუმჯობესებს მთის ტურიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. კვლევა იძლევა რეკომენდაციების ერთობლიობას მთის ტურიზმის ოფიციალური სტატისტიკის გაღრმავებისათვის. გაერომ 2022 წელი მდგრადი მთის განვითარების საერთაშორისო წლად გამოაცხადა, რათა გაზარდოს ცნობიერება მისი მნიშვნელობის შესახებ და ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიღწევას. UNWTO და მთის პარტნიორობა დიდი ხანია თანამშრომლობენ ტურიზმის სექტორის მიერ 2030 წლის დღის წესრიგისა და 17 SDG-ის მიღწევაში წვლილის გასაძლიერებლად. (Food and Agriculture Organization of the United Nations and World Tourism Organization. (2023).

მდგრადი ტურიზმი – მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი

საქართველო, ისევე, როგორც მთლიანად მთელი მსოფლიო, განვითარებისა და ტექნოლოგიური პროცესების აღმავლობის ფონზე ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი პრობლემისა და გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. მსოფლიოს გლობალური ეკოლოგიური კატასტროფები, რაც გამოხატულია კლიმატის ცვლილებით, გამოიწვია ჰაბიტატების დეგრადაცია, წყლისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს ადამიანის სამეურნეო და სამრეწველო საქმიანობაზე. საქართველოს გააჩნია სწრაფი ეკონომიკური ზრდის გამოკვეთილი ინტერესი, თუმცა ბოლოდროინდელმა მიმდინარე პროცესებმა, რომელშიც გამოიკვეთა ტურიზმის ბიზნესის როლი, მნიშვნელოვანია მდგრადი ტურიზმის განვითარების მიზნების მიღწევა.

მწვანე ტურიზმი, დასვენების შედარებით ახალგაზრდა სფეროა. მას ხშირად ეკოლოგიურ ტურიზმთანაც აიგივებენ, რადგანაც თანამედროვე ადამიანებს არამხოლოდ რეკრეაციის, არამედ შემეცნებითი ძალების აღდგენის შესაძლებლობას აძლევს და მდგრადი ტურიზმის განვითარების საფუძველია

მწვანე ტურიზმის ტურისტული პროდუქტი ბუნება და მასთან მაქსიმალური სიახლოვეა, პარალელურად შეისწავლის ქვეყნის ან ტერიტორიის მახასიათებლებს, რომლის გასწვრივ არის დაგეგმილი ტურისტული მარშრუტი.

ბუნებაში მოგზაურობის ტრადიცია წარმოიშვა უძველეს დროს, როდესაც ადამიანებმა დაიწყეს შრომა და გახდა მოთხოვნა დასვენებაზე, რომლის ყველაზე კარგი საშუალება ბუნება იყო. ძველ რომში, როდესაც ჯერ კიდევ მომლოცველები და პილიგრიმები გადაადგილდებოდნენ რელიგიური სიწმინდეების და რიტუალების შესრულების მიზნით, უკვე მათი შთაგონების წყარო იყო ჯანსაღი ბუნებრივი გარემო, რაზედაც ისინი განსაკუთრებით ორიენტირებული იყვნენ, ახლა ეს მიმართულება ფართოდაა გავრცელებული ევროპის მთელ ტერიტორიაზე. მწვანე ტურიზმი არა მხოლოდ საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად დაიზოგოს ბიუჯეტი, არამედ მიანიჭოს ბუნების დიდი სილამაზე (Alaverdov, E. 2021).

მწვანე ტურიზმი განვითარებულია მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, რომლებსაც ლამაზი ბუნება, პეიზაჟები და ლანდშაფტები გააჩნია. ამ ქვეყნებში შედის ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი და ინგლისი. თითოეულ ქვეყანას გააჩნია მწვანე ტურიზმის საკუთარი უნიკალური ნიში, რომელიც ამ ქვეყნის ბრენდს წარმოადგენს. მაგალითად, საფრანგეთის ტური საშუალებას მოგცემთ დააფასოთ ღვინო და გასტრონომიული სიამოვნება ბუნების წიაღში. შუა საუკუნეების ქვის ღვინის მარნები და დახვეწილი ვენახები არ დატოვებს მნახველს გულგრილს, ასევე მნიშვნელოვანია სოფლების – ალტა როკა და ნიცის ღირსშესანიშნაობები. მწვანე ტურიზმი იტალიისა და ესპანეთში საშუალებას მოგცემთ დააფასოთ ადგილობრივი ბუნების უნიკალური სილამაზე, გაეცნოთ უძველეს არქიტექტურას და მოინახულოთ ადგილობრივი კურორტები. რაც შეეხება ადგილობრივი მოსახლეობის სტუმართმოყვარეობას საშუალებას მოგცემთ გაეცნოთ ამ ქვეყნების სტუმართმოყვარეობის უნიკალურ შესაძლებლობებს.

მწვანე ტურიზმის შეფასების ინდიკატორები

ამჟამად, გადაუდებელი ამოცანაა შეიქმნას ინდიკატორების მთელი რიგი, რომელიც შეაფასებს ტურიზმის განვითარებას ფედერალურ, რეგიონულ, ადგილობრივ დონეზე. ვიწრო გაგებით მწვანე ტურიზმის შესაფასებლად ინდიკატორების ფორმირების ფარგლებში, იგი ხშირად გულისხმობს ეკოლოგიურ ტურიზმს, როგორც მდგრადი ტურიზმის ფორმას, რომელიც ფოკუსირებულია, შედარებით ხელუხლებელ ბუნებრივ ტერიტორიებზე ვიზიტებისას ანთროპოგენული ზემოქმედების გარეშე.

აქ მთავარი მაჩვენებელი ტურისტთა რაოდენობაა, რომლებიც სპეციალურად დაცულ ბუნებრივ ადგილებში (SPNA) სტუმრობენ. სტატისტიკის თანახმად, 2017 წელს მსოფლიო ტურისტების 65% – მა მოინახულა დაცული ტერიტორიები.

საერთაშორისო საიტების მასალების მიხედვით შედგენილია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეროვნულ პარკებში ვიზიტების სტრუქტურა. ავსტრალიაში შედის 26%, აშშ – 18%, კანადა, ნორვეგია – 11%, რუსეთის ფედერაცია – 1%. შეერთებულმა შტატებმა ყველაზე მეტი შემოსავალი მიიღო წელიწადში ეკო-ტურიზმიდან – 14,000 მილიონი აშშ დოლარი, ავსტრალია – 3500 მილიონი აშშ დოლარი, რუსეთში კი 12 მილიონი აშშ დოლარი.

მწვანე ტურიზმის, როგორც ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სექტორის, განხილვისას, რომელიც მოქმედებს მდგრადი ტურიზმის, რაციონალური გარემოსდაცვითი მენეჯმენტის, სოციალური სამართლიანობისა და ეკონომიკური ეფექტურობის მიღწევის პრინციპებზე, ინდიკატორების კომპლექტი უფრო ფართოვდება. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია გთავაზობთ მრავალფეროვან ინდიკატორებს, რომლებიც ასახავს, როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირი გზით მწვანე ტურიზმის განვითარებას.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მდგრადი ტურიზმის განვითარების ინდიკატორების შეფასების ყველაზე განვითარებული მეთოდიკა, სადაც ინდიკატორები გამოვლენილია სფეროების ხუთი ჯგუფისთვის: ტურიზმი და მენეჯმენტი; ეკონომიკური შესრულება, ინვესტიცია და

კონკურენცია; დასაქმება, ღირსეული სამუშაო და ადამიანური კაპიტალი; სიღარიბის შემცირება და სოციალური ჩართულობა; ბუნებრივი და კულტურული გარემოს მდგრადობა.

ტურიზმის ასეთ გაგებას ამყარებს „ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსის" (at General Assembly of the World Tourism Organization, Santiago, Chile, 1 October 1999) განმარტება, რომლის მიხედვითაც ტურიზმი არის ინდივიდუალური და კოლექტიური სრულყოფის ფაქტორი; მდგრადი განვითარების ფაქტორი; სფერო, რომელიც იყენებს კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობას და შეაქვს თავისი წვლილი მის გამდიდრებაში; საქმიანობა, რომელიც ერთნაირად სასარგებლო და მომგებიანია მასში მონაწილე ქვეყნებისა და ხალხებისათვის. აღნიშნული განმარტება ხაზს უსვამს ტურიზმის გლობალური მნიშვნელობას და მდგრად განვითარებას, რომელიც წარმოუდგენელია ეროვნულ დონეზე სახელმწიფოს, ხოლო გლობალურად, ტურიზმით დაინტერესებულ სახელმწიფოთა ერთიანი ძალისხმევის გარეშე.

პასუხისმგებელი ტურიზმის მსოფლიო საბჭომ (GSTC) შეიმუშავა მიმართულებების მდგრადი ტურიზმის გლობალური კრიტერიუმები, რომელიც მოიცავს ოთხ მთავარ მიზანს/ინდიკატორს: მდგრადი მართვის დემონსტრირება; ადგილობრივი თემებისთვის სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მაქსიმალური გაზრდა და უარყოფითი გავლენის შემცირება; მინიმალური გავლენის მქონე ადგილობრივი თემებისთვის, ვიზიტორებისთვის და კულტურული ადგილებზე სარგებლის მაქსიმალური გამოყენებით; გარემოსდაცვითი სარგებლის მაქსიმალური გამოყენება და უარყოფითი გავლენის შემცირება [5].

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიერ მოცემულია მდგრადი ტურიზმის შეფასების ინდიკატორები, რომელიც ძირითადად ოთხი ბლოკისაგან არის შედგენილი: მდგრადი ტურიზმის მენეჯმენტი, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ზეგავლენა. ეს მიდგომა გთავაზობთ ორმოცდასამი ინდიკატორის შეფასებას.

სოციოლოგიური კვლევის შედეგები

21-ე საუკუნეში ტურისტების მხრიდან დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოს ბუნებრივმა ობიექტებმა, რადგანაც ქვეყანას ამ მხრივ გააჩნია უნიკალური შესაძლებლობა. ამასთან დაკავშირებით, ჩავატარეთ ქვეყნის მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვა, რომლის მთავარი მიზანი იყო მომსახურების ხარისხისა და ფასების გამოვლენა. ასევე გამოკვლეული იქნა, თუ ტურიზმის რომელ მიმართულებას ანიჭებდნენ უპირატესობას.

პირობითად ასაკობრივი ჯგუფები დაიყო ოთხ კატეგორიად: 20-25 წლამდე (42%); 26–34 (15%); 35–50 (26%) და 50 წელზე უფროსი ასაკის (17%). სერვისების სპექტრი ასაკობრივი კატეგორიებით განსხვავდება შემდეგი ფორმით: ახალგაზრდებმა (20-25 წლის) მოისურვეს სათავგადასავალო და სპორტული მიმართულება (ფოტოგრაფია, საღამოს სპორტული საქმიანობის ორგანიზება, სპეციალური ტრენინგი ტურიზმში, ველოსიპედის დაქირავება და ა.შ.), ასაკობრივმა კატეგორიამ (50 წლის და უფროსი ასაკის) მოისურვა შემეცნებითი ტურები ბუნებასა და კულტურულ ობიექტებზე. მათთვის სასურველია ჩაეტიოს 80-120 ლარი / პერსონა / დღე-ში. ამასთან, გამოკითხულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა გამოავლინა მათი ხარჯები შემდეგნაირად: 50 ლარიმდე / პერსონაზე. (22%), 50 ლარი / ადამიანი (37%) და 2-5 80-120 / ადამიანი (30%).

გამოკითხულთა 67% -ს სურვილი აქვთ დაისვენონ შაბათ-კვირას და გადაიხადონ 100-200 ლარი / ადამიანი / დღეში, მოითხოვენ მაღალი დონის მომსახურებას და ჯანსაღ ბუნებრივ გარემოს, რათა მიიღონ ესთეტიკური სიამოვნება. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ კიდევ არ არის მზად, რომ გადაიხადონ უფრო ძვირი „მწვანე ტურიზმისათვის", რაც გულისხმობს განახლებადი ენერგიის დაზოგვის ტექნოლოგიების დანერგვას, ნარჩენების მართვას; კომფორტულ პირობებს მოსახლეობის ყველა სეგმენტისთვის.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის მოსახლეობაში ცნობიერება მდგრადი, ეკოლოგიური, ბუნებრივი თუ მწვანე ტურიზმის მიმართულებებს შორის, რაც ყოველგვარ კავშირშია "ბუნებაში" დასვენებასთან.

საჭიროა მოხდეს მოსახლეობაში მწვანე ტურიზმის სპეციფიკაში გარკვევა, გარემოსდაცვითი განათლების გაზრდა, მომავალი თაობებისთვის შეღავათების, ღირებულების, დაუცველობის, უნიკალურობისა და ბუნების სპეციფიკურობის საკითხებში მოსახლეობის ყველა სეგმენტისათვის.

რეკრეაციული სერვისების ეკონომიკური შეფასება

იმისათვის, რომ ქვეყანამ მოახდინოს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა, საჭიროა ეკოსისტემების სერვისების როლის ამაღლება, ამავდროულად საჭიროა საკონსერვაციო და ბუნებისდაცვითი სტატუსის ამაღლება. ეს გულისხმობს სწორ მენეჯმენტს მენეჯმენტს დაგეგმვასა და მართვაში, მრავალფუნქციური განვითარების გათვალისწინებით.

ამ კონცეფციის მთავარი იდეაა ბუნებრივი კაპიტალის – რესურსის, მარეგულირებელი და კულტურული ფუნქციების გათვალისწინება. სარეკრეაციო პოტენციალის (დასვენება და ტურიზმი) შესაფასებლად გამოიყენება სამოგზაურო ხარჯების მეთოდი, რომელიც მოიცავს რეკრეატორთა ყველა ხარჯს: განთავსების, კვების და ტრანსპორტირების ხარჯებს, ასევე დამატებით ხარჯებს, რომელიც წარმოიშობა მოგზაურობის პროცესში. ამ კვლევების მთავარი მიზანია, ინფორმაციის მოპოვება, შესასვლელი ბილეთები ხარჯის დასაანგარიშებლად, მაგალითად, რეკრეაციული ტერიტორიის შენარჩუნებისა და მასზე ზრუნვის ხარჯების დასაფარად. ქვეყნებში, რომლებსაც უკვე გააჩნიათ დაცული ტერიტორიები, ტურიზმისათვის (მაგალითად, აფრიკის საჰარას რეგიონში), ან დღევანდელ დღეს უწევენ ორგანიზაციას, სატრანსპორტო-საგზაო ხარჯების მეთოდი შეიძლება სასარგებლო იყოს რესურსების ამოღების ინტენსივობის მისაღები დონის ან უცხოელი ვიზიტორებისთვის შემოსატანი საფასურის დასადგენად (Elizbarashvili, N. 2018).

საქართველოში ბუნებაზე ორიენტირებული ტურიზმის მოსანახულებელი ობიექტები დაცული ტერიტორიებია, რომლებიც აერთიანებს ეროვნულ პარკებს, ბუნების ძეგლებს, დაცულ ლანდშაფტებს და ნაკრძალებს. ბოლო წლების მონაცემებზე დაყრდნობით, ყოველწლიურად ტურისტების რიცხვის ზრდა 1,2%-ია.

რაც შეეხება მწვანე ტურებს, ეროვნულ პარკებში, ნაკრძალებში და დასასვენებელი ტერიტორიების ობიექტებზე იმართება რამდენიმე დღით. ტურისტებისთვის კვების პროდუქტის ღირებულება შეადგენს 20-35 ლარს / პირი / დღეში.

რათქმაუნდა აღნიშნულ ტურებზე ტრანსპორტირების ხარჯები (და პირიქით) განსხვავდება საჰაერო, სარკინიგზო და საგზაო ტრანსპორტისა და აეროპორტის მდებარეობის მიხედვით.

სასტუმროში განთავსება უცხოელ მოქალაქეებსა და ქალაქების მცხოვრებთათვის განისაზღვრება საშუალო ფასებით.

აქედან გამომდინარე, მწვანე ტურიზმი მდგრადი ტურიზმის ძირითადი საფუძველია, რომელსაც 5 მახასიათებელი გაჩნია:

1. ეკონომიკური სარგებელი;
2. უზრუნველყოფს ტურიზმის მეშვეობით გარემოს დაცვას;
3. ბუნებრივი გარემოს სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება;
4. ხდება ადგილობრივი კულტურის ნაწილი;
5. ხელს უწყობს რეგიონში ინვესტიციების მოზიდვას.

21-ე საუკუნეში მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია ეკონომიკის ეკოლოგიზაციისაკენ, რომელიც მდგრადი განვითარების საფუძველია. მწვანე ეკონომიკის დირექტივებში აღნიშნულია, რომ „ეკონიმიკურად მომგებიანია ის, რაც ეკოლოგიურად უსაფრთხოა“, ასევე ირწმუნება, რომ გადასვლა მწვანე გლობალურ ეკონომიკაზე მსოფლიოს საზოგადოებამ დაიწყო 2012 წელს და პიკური მაჩვენებელს მიაღწევს 2050 წლებში. საჭიროა ინვესტიციების 2% განხორციელდეს ეკონომიკის 10 ძირითად საკვანძო მიმართულებებზე: ტურიზმი, თევზჭერა, სატყეო მეურნეობა, ტრანსპორტი, წყლის რესურსების მართვა, წყლის გამოყენება, უტილიზაცია და ნარჩენების გადამუშავება, ენერგეტიკა, აგრობიზნესი. თანამედროვე, ახალი ეკონომიკის განვითარების პირო-

ბებში მწვანე კომპონენტებმა უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი.

გაერომ მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად აღიარა მწვანე ზრდა, რომელიც ასახა „მდგრადი განვითარების მიზნებში“. 2015 წელს საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტი მიანიჭა მწვანე ეკონომიკას, რომლის მთავარი ქვაკუთხედია მწვანე ტურიზმი. საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებულია სუფთა წარმოების, ეკოსისტემების სერვისების, გარემოსდაცვითი განათლებისა და მწვანე სამუშაო ადგილების [unwto.org)

მწვანე ეკონომიკა ახალ შესაძლებლობებს აძლევს ბიზნესს, განსაკუთრებით გლობალური კრიზისიების პერიოდში. მწვანე ეკონომიკა იდენტიფიცირებულია, როგორც პრობლემების გადაჭრაში „დაუმარცხებელი“ გზა ეკონომიკური განვითარების, ასევე გარემოს დეგრადაციის პრობლემების და სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის საკითხების მოგვარების ხელშემწყობი. ბევრი ბიზნესი ცდილობს მწვანე ეკონომიკის შესაძლებლობების გამოყენებას – ახალი საქონლისა და სერვისების განვითარება, არსებული ბიზნეს ეკოლოგიზაციის პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ბრენდის გაუმჯობესებულ იმიჯს. ასეთი შესაძლებლობები ჩნდება ტურიზმის სექტორშიც (Mason, 2016)

მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში ტურიზმი მნიშვნელოვან ეკონომიკურ სექტორადაა აღიარებული, რადგანაც ის მაღალი ხარისხის ბუნებრივ რესურსებს და კლიმატურ სტაბილურობას ემყარება. გარემოსდაცვითი კუთხით ადექვატურად დაგეგმვისა და მართვის შემთხვევაში ტურიზმი უზრუნველყოფს ეკონომიკურ მდგრადობას მომავალი თაობებისათვის. განათლება და ცნობიერების ამაღლება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს გარემოსდაცვითი ეთიკის გამოყენების კუთხით. ადამიანების დარწმუნება შეცვალონ მათი დამოკიდებულება ბუნებრივი გარემოს მიმართ მოითხოვს, რომ მათ აღიქვან საკუთარი თავი, როგორც ბუნების ნაწილი და არა როგორც ეკოსისტემისგან განცალკევებით მდგომი სუბიექტი. პარადიგმის ასეთი ცვლილება აუცილებელია ტურიზმის სექტორის მიერ გარემოზე მიყენებული უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, მაგალითად, „თავისუფალი ფრენების“ გავლენის მინიმუმამდე დასაყვანად (Holden, 2015).

სოფლის ტურიზმი ხშირად გამოიყენება სხვადასხვა რეგიონების განვითარების მწვანე ეკონომიკა ეკონომიკური განვითარების განსაკუთრებული მოდელია – ”რესურსებზე ინტენსიური ეკონომიკის მოდელი”, რომელიც იწვევს მაღალ ხარჯებს და პროდუქტიულობის შემცირებას. კრიზისი კვლავ მიმდინარეობს ამ მოდელის ინდიკატორად და, საბოლოოდ, ქმნის „მწვანე ეკონომიკის“ ახალი მოდელის შექმნის იდეას, უზრუნველყოფილია გარემოსდაცვითი რისკებით და მატერიალური დოვლათი არ იქმება გარემოს დეფიციტის და ეკოლოგიური უთანასწორობის გაზრდის გამო.

გაეროს მდგრადი განვითარების კონფერენცია რიო + 20 კონფერენციის ფარგლებში, სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ შექმნან მწვანე ეკონომიკის კონცეფცია, როგორც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მდგრადი განვითარებისათვის.

მწვანე ეკონომიკის კონცეფცია არის მოდელი, რომელიც იწვევს ადამიანების ჯანმრთელობისა და სოციალური სამართლიანობის გაუმჯობესებას, ასევე საშიში ნივთიერებების გარემოზე ზემოქმედების მნიშვნელოვან შემცირებას და გარემოს დეფიციტის გაუმჯობესებას. ამრიგად, მწვანე ეკონომიკა, მისი უმარტივესი ფორმით, შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკაში დაბალი ნახშირბადის გამო, რესურსების დაზოგვის და სოციალურ -ინკლუზიურ მოდელად.

მწვანე ეკონომიკის კონცეფცია არ ცვლის მდგრადი განვითარების კონცეფციას, მაგრამ ფართოდ არის აღიარებული, რომ მდგრადობის მიღწევა თითქმის მთლიანად ემყარება ეკონომიკური კანონის მიღებას.

გაეროს (გარემოსდაცვითი პროგრამა UNEP, აზიის და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისია, ESCAP და ა.შ.), საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა გლობალური ზრდის ინსტიტუტი (GGGI) და მრავალი სხვა, აქტიურ როლს თამაშობს მწვანე ზრდის სტრატეგიის შემუშავებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთელი საერთაშორისო საზოგადოება ობიექტურად იძულებულია მოძებნოს «მწვანე ეკონომიკაზე» გადასვლის გზები – ეკონომიკა, რომელიც ეყრდნობა რესურსების დაზოგვასა და ეკოლოგიურ ინდუსტრიებს, ზრდის ხალხის კეთილდღე-

ობას და ამცირებს გარემოს რისკებს. «მწვანე ეკონომიკა» ხვალინდელი ეკონომიკაა და ის 21-ე საუკუნის ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალაა.

გაეროს მიერ შემუშავებული გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP), განსაზღვრავს მწვანე ეკონომიკას, რომელიც ამცირებს გარემოს დეგრადაციას და აძლიერებს ადამიანის კეთილდღეობას, რათა მომავალმა თაობებმა ისარგებლონ ჯანსაღი, ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოთი.

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP)-ის მწვანე ეკონომიკის ძირითადი საფუძველია:

- მდგრადი განვითარების პრინციპებთან შესაბამისობა;
- პროფილაქტიკური მიდგომა სოციალურ და გარემოზე ზემოქმედების მიმართ;
- ბუნებრივი და სოციალური კაპიტალის შეფასება, მაგალითად, საგარეო ხარჯების ინტერნაციონალიზაცია, მენეჯმენტის გაუმჯობესება; რესურსების მდგრადი და ეფექტური გამოყენება, მოხმარება და წარმოება; აუცილებელი მაკროეკონომიკური მიზნების მისაღწევად, მწვანე სამუშაოების შექმნით, სიღარიბის აღმოფხვრა, კონკურენტუნარიანობის გაზრდა და ეკონომიკის ძირითადი სექტორების ზრდა.

მწვანე ეკონომიკაში, პრაქტიკული თვალააზრისით მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გამოყენება, რაც ასახულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული პოლიტიკის განვითარების სტრატეგიებში. [4]

„მწვანე ეკონომიკა“ არის მნიშვნელოვანი პირობა მდგრადი განვითარების მისაღწევად, სიღარიბის აღმოსაფხვრელად და ქვეყნებში მაღალი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ეფექტების მისაღწევად.

გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტების მიერ გამოვლენილი იქნა პრიორიტეტული სექტორები, რომლებიც ხელს უწყობს მდგრად განვითარებაზე გადასვლას. ესენია:

- ენერგიის ალტერნატიული წყაროები;
- წყლის მოხმარების შემცირება;
- ნარჩენების პრობლემების აღმოფხვრა;
- სოფლის მეურნეობის და მეტყევეობის ხელშეწყობა;
- ტრანსპორტის საწვავის არატრადიციული, ალტერნატიული წყაროებით შეცვლა.

მდგრადი განვითარების გრძელვადიანი განვითარებისათვის საჭიროა ეკონომიკის ყველა სფეროს კოორდინირებული მოქმედებების განხორციელება, რომელიც მოითხოვს ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმის მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლას, რაც გაზრდის ადამიანის კეთილდღეობას, რათა მომავალმა თაობებმა ისარგებლონ ჯანსაღი გარემოთი.

იმისათვის, რომ გატარდეს ეფექტური გარემოსდაცვითი პოლიტიკა „მწვანე ზრდის“ ეფექტურობის შესაფასებლად, საჭიროა დამუშავდეს სრულყოფილი ინფორმაცია შესაძლო პროგნოზირებული რისკებისა და უარყოფითი შედეგების პროგნოზირებისათვის.

მწვანე ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ბუნებრივი რესურსების და ეკოსისტემების გამოყენებაზე, განსაკუთრებით იმ რეგიონებისათვის,, სადაც არ არის წარმოება განვითარებული და მხოლოდ ტურიზმის სექტორია რეგიონის ეკონომიკაში ჩართული, ამიტომ საქართველოს მთავრობა დიდ როლს ანიჭებს მწვანე ეკონომიკის განვითარებას.

საქართველოს, ევროკავშირის, შვედეთის და ავსტრიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას პროექტის – „მწვანე ეკონომიკა: მდგრადი მთის ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა“ დასაწყებად. პროექტი ითვალისწინებს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას, მათი პროფესიონალიზმის ამაღლების და მასშტაბების გაზრდის მიზნით. პროექტი ასევე მიზნად ისახავს ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობას და დამატებითი შემოსავლის შექმნის შესაძლებლობის გაზრდას საქართველოს ეკონომიკისთვის ორ ისეთ მნიშვნელოვან სექტორში, როგორიცაა მწვანე ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. პროექტის შემუშავება მოხდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში. 4 წლიანი პროექტი 2019 წელს დაიწყო და დაფი-

ნანსებულია ევროკომისიის (3 მილიონი ევრო) შვედეთის (2.8 მილიონი ევრო) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობით (1 მილიონი ევრო). პროექტს ავსტრიის განვითარების სააგენტო განახორციელებს 9 კაციანი გუნდის საშუალებით, რომელიც მუდმივად იქნება განთავსებული მესტიასა და თბილისში.

დასკვნა

მდგრადი ტურიზმი, როგორც ურთიერთობის ახალი ფორმა, დღესდღეობით მსოფლიოს მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.

ტურიზმის ღირებულების ჯაჭვში მდგრადობის ინტეგრირება აუცილებელია, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს მრავალი სარგებელი ტუროპერატორებისთვის, მომწოდებლებისთვის, მომხმარებლებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. ისეთი პრაქტიკა, როგორიცაა ენერგოეფექტური მოწყობილობების გამოყენება, ეკოლოგიურად ჯანსაღი პროდუქტების შეძენა, ნარჩენების შემცირება და ბუნებაზე დაფუძნებული ტურების კეთილგონივრულმა დაგეგმვამ, შეუძლია არა მხოლოდ მოხმარებული რესურსების შემცირება, არამედ სარგებელის გაზრდა. ასევე მნიშვნელოვანია განახლებადი ენერგიის წყაროების ჩართვა ტურიზმში ობიექტების განთავსებისას ან მომწოდებლების არჩევისას, ხოლო საერთაშორისო სასტუმროების ქსელები ძირითადად დაინტერესებულნი არიან ინვესტიციების განხორციელებაზე მწვანე ტექნოლოგიებში, რომლებიც ამცირებს ბუნებრივი რესურსების მოხმარებას და საოპერაციო ხარჯებს.

მწვანე ტურიზმი წარმოადგენს მდგრადი ტურიზმის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც შესაძლებელია უნივერსალური იყოს ქვეყნის, რეგიონის და ადგილობრივ დონეზე. მწვანე ტურიზმის შემდგომი წარმატებული განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, რესურსების მოხმარებისა და ნარჩენების გადამუშავების მიზნით. ასევე აუცილებელია ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობს მწვანე ტურიზმის განვითარებას, რაც მომავალში მწვანე ეკონომიკის განვითარების საფუძველია.

იმისათვის, რომ ქვეყანა გადავიდეს მწვანე ეკონომიკაზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს მდგრადი ტურიზმის განვითარებაზე, სადაც დიდ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიური მდგრადობა, როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ დონეზე. ამისათვის საჭიროა ქვეყნებში დაინერგოს საერთაშორისო პროგრამები და სერტიფიცირების სისტემები, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნულ საკითხში საერთაშორისო გამოცდილების გავრცელებას, სტიმულს მისცემს ტურიზმის ინდუსტრიის საწარმოებს დანერგონ ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც იქნება ეკოლოგიურად ჯანსაღი და უსაფრთხო, აღნიშნული კი ხელს შეუწყობს მწვანე ეკონომიკის განვითარებას.

სხვადასხვა ქვეყნის მრავალი მაგალითი არსებობს. ქვეყნებსა და რეგიონებს, რომლებსაც გააჩნიათ კარგად ჩამოყალიბებული ეკოლოგიური პოლიტიკა, ეყრდნობიან სამეცნიერო კვლევებს, სამეცნიერო ბაზების მონაცემებს, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებს სწრაფად გადადიან უსაფრთხო მწვანე მოდელზე და შესაბამისად, ავითარებენ მწვანე ეკონომიკას.

იმისათვის, რომ მოხდეს მდგრადი ტურიზმის ინდუსტრიის გადასვლა ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიებზე, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს მხარდაჭერა დარგის მართვასა და განვითარებაში. ასევე მწვანე საქმიანობის სტიმულირება, როგორც მომხმარებლების, ასევე მწარმოებლების მხრიდან გადასახადების, ფასების, მწვანე კრედიტების და ინვესტიციების სახით.

რეკომენდაციები

ჩვენ მიერ მოხდა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ტურიზმის მდგრადი განვითარების მიზნების განსაზღვრა და მისადაგება საქართველოსთან. ასევე მდგრადი ტურიზმის როლის განსაზღვრა მწვანე ეკონომიკაში. მოვახდინეთ ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივების შესწავლა.

ჩამოგვიყალიბდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

სახელმწიფოს მხრიდან, მდგრადი და ინტენსიური ტურისტული ბიზნესის განვითარების მოდელის შექმნა, რომლისთვისაც აუცილებელია:

- მდგრადი ტურიზმის ძირითადი პრინციპებისა და მოდელების უცხოური გამოცდილების შესწავლა;
- მდგრადი ტურიზმის მოდელის შემუშავება სამეცნიერო სამუშაოებზე დაყრდნობით;
- სამეცნიერო კვლევებში სხვდასხვა დარგის სპეციალისტების ჩართულობის უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტებისა და სხვდასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობის უზრუნველყოფა მდგრადი ტურიზმის პოპულარიზების საკითხში;
- ეფექტური გარემოსდაცვითი პოლიტიკის გასატარებლად და «მწვანე» ზრდის ეფექტურობის ყოვლისმომცველი შეფასებისთვის, შემუშავდეს «მწვანე ეკონომიკაში» გადასვლის უზრუნველსაყოფი მექანიზმის მოდელი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ მიღებული ზომების დონე, მათი გავლენის მასშტაბები და საზღვრები, დამუშავდეს ყველაზე სრულყოფილი ინფორმაცია შესაძლო პროგნოზირებული რისკებისა და შესაძლო უარყოფითი შედეგების (დაბინძურება, ეკოსისტემის დეგრადაცია) შესახებ.

იმისათვის, რომ ქვეყანა გადავიდეს მწვანე ეკონომიკაზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს მდგრადი ტურიზმის განვითარებაზე, სადაც დიდ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიური მდგრადობა, როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ დონეზე. ამისათვის საჭიროა ქვეყნებში დაინერგოს საერთაშორისო პროგრამები და სერტიფიცირების სისტემები, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნულ საკითხში საერთაშორისო გამოცდილების გავრცელებას, სტიმულს მისცემს ტურიზმის ინდუსტრიის საწარმოებს დანერგონ ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც იქნება ეკოლოგიურად ჯანსაღი და უსაფრთხო, აღნიშნული კი ხელს შეუწყობს მწვანე ეკონომიკის განვითარებას.

REFERENCES

Alaverdov, E. (2021). The Development of Islamic Knowledge and Tourism in the Modern Life of North Caucasus. In E. A. Bari, *Global Development of Religious Tourism* (pp. 11-24). Hershey: IGI Global.

ალადაშვილი მ.,(2013) სადისერტაციო ნაშრომი „ეოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივები საქართველოში“ (გვ.90-120)

დერეკ ჰოლი, მიჩელი (2017) „ახალი მიმართულებები სოფლად ტურიზმში“. Vol.10. No.4, pp. 410-428.

Elizbarashvili, N., Meesen, H., Khoetsiani, A., Meladze, G., Koler, T. (2018). *Sustainable Development of Mountainous Regions and Resource Management.* Tbilisi: Dani.

Mazilu M.E., Green tourism in the age of green economy // International journal of economics and statistics. 2013. Vol. 1. Iss. 3. Pp. 140-147.

Hall D. Kirkpatrick I. Mitchell M. 2005. *Rural Tourism and sustainable business.*Bristol: Channel View Publication.

(Katsitadze, N., & Natsvlishvili, I. ,(2020)). “The Role of State Regulation and Policy in Tourism Development: The Case of Georgia”. In *Eurasian Economic Perspectives* (pp. 419-434). Springer, Cham.

ნადირაშვილი გ., ჯანგულაშვილი დ., (2016) მდგრადი ტურიზმის საფუძვლები თბ., გამომცემლობა უნივერსალი

გელდნერი ჩ.რ. რითჩი ჯ.რ. 2017.*ტურიზმი. საფუძვლები.პრაქტიკა.თეორია.* ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეთორმეტე გამოცემა(გვ.429-443)

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. https://gnta.ge/ge/ (19.04.2024)

https://gnta.ge/wp-content/uploads/2015/06/wlis_angarishi_2016.pdf

Food and Agriculture Organization of the United Nations and World Tourism Organization. (2023). *Understanding and Quantifying Mountain Tourism.* Retrieved from https://www.fao.org/documents/card/en?details=CC5210EN

https://openknowledge.fao.org/server/api/core/bitstreams/61b2d458-76be-404e-a47d-aee5a5372b96/content

Georgian National Tourism Administration & German Society for International Cooperation (GIZ). (2018). *Green Tourism in Georgia.* Tbilisi: Georgian National Tourism Administration.

Holden, A., 2015. Environmental Ethics and Challenges to Tourism’s Place in the Green Economy. In: M. V. Reddy , K. Wilkes. eds. 2015. *Tourism in the Green Economy*. London and New York. Routledge: pp. 46-56.

Mason, P., 2016. *Tourism Impacts, Planning and Management.*3rd ed. New York: Routledge.

ტურიზმის გლობალური ეთიკის კოდექსი (1999) განახლებულია მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის მიერ 2022 წელს
https://webunwto.s3.eu-west-1.amazonaws.com/s3fs-public/2019-11/georgia2015.pdf
საქართველო. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (2015) საქართველოს-ტურიზმის-სტრატეგია 2025.
საქართველო.საქართველოს პარლამენტი (1996) *საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ.* სარეგისტრაციო კოდი: 360.000.000.05.001.000.184.
დევაძე, ა. გ. ნ., 2012. *ტურიზმი საქართველოში არსებული მდგომარეობა, პრობლემები, პერსპექტივები.* თბილისი
საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების შესახებ (1996) საქართველოს პარლამენტოს მაცნე
WWW.UNWTO.org
http://recp.ge/wp-content/uploads/2018/01/Green-economy-newsletter-GE-1.pdf
.http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/1_sakartvelos_socialur-ekonomikuri_ganvitarebis_strategiis_-_sakartvelo_2020.pdf
http://moe.gov.ge/res/images/file-manager/strategiuli-dokumentebi/strategiebi-gegmebi/2017-2021-.pdf
http://european.ge/mwvane-ekonomikuri-doqtrinistvis-tezisebi/